

### ჩემი პირადი


გაგონების პრინციპით. ი. გ. მუსხიშვილის ხელნაწერი.

### ხელის-მომწერა

მოდურების თულისში, „დროება“ ივერიის რედაქციის დაქვემდებარებაში. ივერიის რედაქციის ხელნაწერი. ვაჭარაძის რედაქციის ვ. თ. თიფლისში, ვ. თ. თიფლისში, ვ. თ. თიფლისში. ВЪ редакцію „Дроэба“—Иверія“.

### „დროება“-ივერიის ფასი

წელიწადში 6 თვის. 3 თვის. დროება და ივერიის ერთად 14 მან. . . 8 მ. . . 5 მ. . . 3 მ. (დროება და ივერიის) . . . 9 მან. . . 5 მ. . . 3 მ. ცალკე ივერიის . . . 7 მან. . . 4 მ. . . 2 მ.



ბამონდის უმჯობესი-დეი ორშაბათის ბარდა

### ვასი ბანასაძის

დავით აღმაშენებლის ძეგლის აღმასრულებელი. მწიგნობარის რედაქციის ხელნაწერი. ვაჭარაძის რედაქციის ხელნაწერი. ივერიის რედაქციის ხელნაწერი. თუ ხატობაში მოთხოვნა, რედაქცია გასწავრება და შემთავლებს დასაშვებლად გამოგზავნილ წერილებს. ღია უწყვეტად წერილს რედაქცია უსიტით ვერ დაეუბრებას. \*გტორს. განცხადების მიხედვით ქართულს, რუსულს და სხვ ენებზეც. ქუთაისში განცხადება მიიღება „დროება“-ივერიის რედაქციის გენერალში.

ვაჭარაძის რედაქციის ხელნაწერი. დროება და ივერიის რედაქციის ხელნაწერი.

### ნახვარი წლის ხელის-მომწერა

ვირგველის ივლისიდან წლის დამლევამდე

## დროება

ცალკე ღირს — სუთი მანეთი

## ივერია

ცალკე ღირს — სამი მანეთი

ერთად „დროება“ და „ივერია“ ოცა მანეთი.

ხელის-მომწერა მიიღება, თიფლისში, რედაქციაში (გაგონების პრინციპით, ი. გ. მუსხიშვილის ხელნაწერში, ვაჭარაძის რედაქციის, თ. თ. თიფლისში — აგვისტოთა ბ. ილია ჭყონიასთან (სიღვასე, მირიან ჭყონიას ხელნაწერი). ქადაგის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესა: თიფლის. Редакция „Дроэба“.

### საგაჟრო სახელი

## „ქართა კ. და ს. კავოშვილისა“

მოსკოვში

ბანტორა იმყოფება ტენენის ხიდზე, პ. ს. პაპოვის სახლებში.

პატივი გვაქვს ვაცნობოთ საზოგადოებას, რომ ჩვენი წიგნის ჩანს საგაჟროთ, ვაჭარაძის საკუთარი მალაზიები ქვემო-მოყვანილ ქალაქებში:

ხარპოშვი — პენგრევის ქუჩაზე, საკუთარს სახლში.

თბილისში — ბაღათელის პრინციპით, მირიანოვის სახლებში.

სამასტოკოში — ბაღათელის მარსკაის ქუჩაზე, ვაჭარის მოგინის სახლში.

როგორც ამ მალაზიებში, აგრეთვე პეტერბურგში, ვარშავაში და კიევიში ჩვენ მალაზიებში, ჩი აწარმოდა გირვანქებით ნახევარ და მუსხიშვილის გირვანქებით და გაიზარდა ყოველგან უმთავრესი მალაზიები, რომელიც იმყოფება მოსკოვში პრასინოვსკის ქუჩაზე, საკუთარს სახლებში. (30—7)

### ახალი სწავლება

„რადიკალურმა მასწავლებელმა მისი მოწიგნი“

ღრო მოითხოვს, რომ ყველა საზოგადოებამ დღითი დღე წინ წაიყვანოს თავისი ცხოვრება, მოაშოროს თავის თავს ცუდი ჩვეულება და რწმუნება, რომლითაც მცირდება იმისი კაცობრიობა.

ჩვენ წინა—პართ ოჯახობაში სუფევდა ზრდილობა, თავყვანისცემა კაცის ღირსებისა, დედ-მამის დაფასება და პატივი, ერთმანეთის ნდობა, ერთობა, ნათელ-მორჩობა, მამულისა და დედა ენის სიყვარული, სარწმუნოების შეურყევლობა და ვაჟკაცობა. ჩვენმა საქართველომ განაგრძო თავისი ცხოვრება უმეტესი ორი ათას ასი წლისა და იმისი დღევანდლობა იყო დამყარებული ამ შეურყეველ თვისებებზე. როდესაც ეს კაცობრიობის ღირსებანი შეირყვნა, მაშინ ჩვენი მშვენიერი საქართველო განაწილეს მეფის შეილებმა და მაშინ დაემხო ჩვენი ქვეყანა.

ჩვენ ძველს ოჯახობაში ქალსა და კაცსა ჰქონდათ მართათ გამოხატული ხატით კეთილ დღეობა ოჯახისა და თავის მამულისა. ამ შეურყეველ ბურჯზე იყო დამყარებული იმათი აწამო და მომავალი. შეილები იზღვე-

ბოდნენ დაბალ და უმაღლესს სასწავლებლებში მამულის შეილათ. შეველა საქართველოს შეილოს, აღზრდილს საქართველოში, ანუ სამშღვარ გარეთ ქ. ათინაში, ესმოდით უპირატესი თავისი მოვალეობა, რომელიც იმათ უღლად ეღოთ, როგორც მამულის შეილებს. შეველას ახსოვდა, რომ ის ქართველია, თავისი ცოდნით და ზრდილობით ცდილობდა შემოეტანა ხალხის ცხოვრებაში რაიმე ნაყოფი. თავის ენას, ოჯახს და მამულს აფასებდა უმეტეს თავის სიკაცობისა. ბამოჩენილნი თავიანთი კეთილი თვისებით კაცნი, თუ ქალნი იყვნენ მაგალითათ მთელ საზოგადოებაში. ცუდ ყოფაქცევის და ყალბ კაცს, სარწმუნოების მგომბს, ჰკიცხავდნენ და ერიდებოდნენ ყველანი. მსრენი პირნი თუმცა იშვიათნი იყვნენ, მაგრამ ისინი ჰყვანდნენ ხალხს ისე შექმნილებდნენ, როგორც ახლა არიან მოძულეებულნი კარ-და-კარ მავალინი ბოშები.

მანათ ის კეთილ თვისებანი, რომლითაც ჩვენნი წინაპარნი იყვნენ გამოჩენილნი, ვანთქმულნი, სკოცხლობენ კიდევ ჩვენში, თუ შეირყვნენ?...

ჩვენი საზოგადოება, როგორც ყველა ტომის საზოგადოება, ორ რიგათ იყოფება. ერთ ნაწილს უწოდებენ სახელათ ახალ მოზარდებს, მეორეს—კი მოხუცს. პირველებს ეუთენიან ახალ

მოზარდე ქალნი და კაცნი; მეორეს — იმათი მშობლები, საქართველოს დაცემილად დღევანდლობის ბევრმა წყალობა ჩაიბრა, ბევრს ტყავი გადასძვრა ახალი ცხოვრებით, ბევრს სიკოცხლე მოაკლდა, ბევრიც მამაკვდავს მიემგზავსა. ღიდი შეჭირვების ბელი ეწვია ჩვენ ქვეყანასა და ხალხსა. თითქმის ყველანი დღღონებულნი და ჩაფიქრებულინი დადიან. თავდა-ზნაურნი ჩავარდნენ ვალში, ბევრი აღარ დაჩომილან, რომ თავისი მამული არა ჰქონდეთ დავირაგებული „პრიკაზში“, ჩვენ საადგილ-მამული ბანკში, ანუ სხვა პირებთან. ღიდი დღე ისუიდება იმათი მამულები. ვინ იცის რა ბოლო მოეღის ჩვენს საზოგადოებას?!... არა ჩანს მათში გამოფხზობა, ყველათ ცილი მანანას. თითონ კი გაბრუებულნი დადიან. იმედი არსაით რა ჩანს, ერთმანეთში ნდობა და მეგობრობა არ არის, შური და მტრობა მრავალი, საფუძელიანის განათლების სისუსტე, ურწმუნოება, შრომის გარეგნობა, ნათესაობის სიყაროთის დამცირება და შეურაცხყოფლობა. რა არის ამისი მიზეზები? უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ ჩვენ ოჯახობას დედა-კაცი აღარა ჰყავს.

ბანქარდენ ძველნი თვისებანი, რომელიც ჩვენს ცხოვრებას სულს უღამდნენ და დედა-კაცს ჰბდიდნენ ოჯახის და მამულის ბურჯად და ერთობით აღამენათ. მსლანდელი მოზარდი ქალი თვით ოჯახობაშივე ვეღარ პოულობს კაცობრივის სულის საზრდოს.

მალი ოჯახში ვეღარ იწრთვება და თუნდა იწრთვებოდეს კიდევ, ახალი დრო ბევრს სხვა ახალს თვისებას მოითხოვს, რომ კაცი კაცად იქმნას, მაგრამ ოჯახობა ვერ ამყარებს ამისთანა მიმართულებაზედ.

ოჯახ გარეთაც, სასწავლებელში, იმათ დავიწყებული აქვს ის აზრი, რომლითაც აღამიანი—კაცი, თუ ქალი უნდა შეიგოს, რომ ოჯახისა, მამულისა და კაცობრიობისა სიყვარული გულში მტკიცედ დანერგული ჰქონდეს. მართა ამ სამი თვისებით კაცი კაცობს.

ჩვენი გაქსუებული ოჯახიდან ქალი რომ შედის სასწავლებელში, გადადის სრულიად უცხო სამფლობლოში და იქიდან ვერ გამოაქვს ის ცოდნა, რომელიც უნდა ჰქონდეს ყველა ქალს აღამიანური სარბიელათ.

ჩვენი სასწავლებლები არღვევენ ყოველს კავშირს ოჯახობასთან და სამაგიეროთ არას აძღვევენ. მალი თავ

ვიანვე ქვეყანაში ობლობათ ჩიგბა: აღარც ჩვენი და აღარც სხვისა.

შველა დლიური ცხოვრება და მოქმედება ჩვენი ახალ-მოზარდე ქალები-სა გვარწმუნებს ამ ქვეყნარბობას. იშვილოთ შეხვდება კაცი გასათხოვარს. ანუ გათხოვილს ქალს, რომ ესმოდეს ნამდვილი კაცობრიობითი მიზანი. ჩაცმა-დახურვით, შინაგან მოწყობილობით, ცხოვრებით, კაცი ვერ გაიგებს რომელია იმათი მდიდარი, რომელია ხელმოკლებული, გაზრდილი და გაუზრდილი. ასე ჰგონია კაცს რომ ყველანი ერთ ყალიბში არიან ჩამოსხმულნი. იმათი ცხოვრება უქმით მდინარეობს, უსაფუძვლო სხვა და სხვა საგანზედ იმათი ლაპარაკი ვეგრწმუნებს, რომ ჩვენ სასწავლებლიდან და ოჯახობიდან არ მიუღიათ, არ შეუთვისებიათ საფუძვლიანი ცოდნა და ცხოვრებითი აზრი. ამისთანა მიმართულება ჰბადებს ურწმუნოებას და ამოც ცხოვრებას.

მთლიანად უცხოეთში იმის განბობაში გამოუხატავს სხვა და სხვა უსაფუძვლო რომანებს. იმისი გონებიდან დაკარგულია, რომ ან თავის თავს არგოს, ან ოჯახს, ან საზოგადოებას, ან მამულს. შინაური ცხოვრება თავის დედ-მამისა ენოთირება და ეუცხოება. ახალი კვლიც თავის სუსტი ხასიათით და ცოდნით ვერ გამოუკვლევი: აღარც წინაპართ ემსაგებსება, აღარც იმ იდეალს, რომელიც განათლებულ საზოგადოებას შეუღდენია. ამით ისინი ორ წყალ შუა არიან დარჩენილნი. მათი გონება და აზრი არის დამყარებული ამო მიდრეკილებაზედ: მდიდრულ ჩაცმაზედ, საბრანებში გასვლა-გამოსვლაზე, ბუღვარზედ გამოფენაზედ, ბეზიკის და ლოტოს თამაშობაზედ, ტანკობაზედ და უაზრო ლაპარაკზედ. იმათი სუსტი სწავლა, როგორც ქარის მოტანილი—ისე ქარს მიაქვს. მოკლე ცოდნა არიღებს იმათ შრომას. არ იციან რას შეუღდნენ და გულ-ხელ დაკრფობი სხვდან და ელიან თავიანთ ბიდის ვახსნას. ის ვერ გაუგიათ, რომ სწავლა და შრომა აღამაღლებს კაცსა. ბევრმა იმათგანმა არა თუ არ იცის რაიმე ხელოვნება—ქრისა და კერვისათვისაც ვერ მიუგნიათ. ასე გასინჯეთ, რომ იმათი და იმათი შეიღების ტანოსაცმელიც კი იკრება ბლოტის და სხვა და სხვა მალაზიებში.

ლაპარაკობენ დღითი დღე რაღაც მიუგებრელ თავისუფლებებზედ, თითონ კი ახალ-მოდის ტანსაცმელით არიან ისე მავრათ დაშარტულნი, რომ კაცი

ბის გრგოლში ძლიერად სდგამენ ფეხსა. შემეტესი ნაწილი იმათგან ეძებს როგორმე შეაფარონ თავისი თავი შემძლეველ ქმარს და შემდეგ კი იალქნები აუშონ. ამისთანა გარემოებამ დაამცირა მნიშვნელობა ცოლ-ქმარობისა. ცოლ-ქმარში კაცი ვეღარ ჰხედავს შეურყეველს კავშირს. იმათში ძვირათ იპოება ის მტკიცე წმინდა გრძობა, რომელიც აუღლებს ნამდვილ კაცობრივსა ცოლ-ქმარობას. მითქმის დღითი დღე ცოლ-ქმარობა იკარგება. ხშირად გვეხმის აი ამა-და-ამ ქალმა დაანება თავი თავის ქმარსა და სცხოვრობს სხვასთან, აი იმან აილო ხელი თავის ცოლ-შვილზედ, აი იმ გასათხოვარ ქალს სამარცხვინო უბედურობა მოსვლია, აი ის ქალი საბებოში უნახავთ და ეს ქალი ხილიდგან მტკვარში გადავარდნილა და მრავალი ამ გვარი მაგალითები ახლანდელი ზნეობისა გვიშფოთებენ გულსა! მრთი სიტყვით, რაღა თავი მოგაწყინოთ, ქმარი და ცოლი გახდნენ ერთმანეთს ფარდათ... ბევრი ქალებისაგან ვაგვიგონია: „მე და ჩემი ქმარი ვერ მოვედით ერთ აზრზედ, ის სხვა ფრიე უყურებს ცხოვრებას და მე სხვა ფრიეაო. ჩემ სიცოცხლეს არც იმას შევიწირავ, არც იმას შევიღებო. მძარმა არ იცის სად არის იმისი ცოლი, დედამ—სად იმყოფება, დილიდამ სალამოდენ იმისი ქალი: კვალერებთან დასერიობს, თუ ურო-აგზიად არის... მანამ ჩვენ მამულს არ ეყოლება კეთილ მოზრუბე დედები, სწავლით და ზნეობით აღზრდილნი, მანამდის ვერ მოვესწრობათ ჩვენს ნამდვილს კეთილ-დღეობას.

ამდენ ქალებში ბევრი განათლებულნიც და სწავლულნიც არიან, მაგრამ ისინი დღევანდელად ვერ დაუახლოვდნენ ერთმანეთს, ვერ დასდგნენ ერთს საფუძვლიან ასპარეზზედ. ნუ თუ ყოველ დღიურმა უსაქმოებამ ვერ მოაღალა ისინი და არ აჩვენა იმათ ამოება თავისი ცხოვრებისა? ჩვენ შენიშნულნი ვეყვანან ბევრი ყმაწვილ ქალებს, რომელთაც თითქმის არ იციან თავიანთი დედენა; ვინც კი იცის წერა-კითხვა ისიც ვერიდება ქართული წიგნების კითხვას; არა აქვს სურვილი გაიგონ, რომ ყველა ტომს უნდა უყვარდეს, უმეტესათ თავისი სიცოცხლისა, თავისი მამული და დედა-ენა. მინც თავისი ენა არ იცის—ის სხვა ენებსაც კარგათ ვერ შეითვისებს.

ახლანდელმა პედაგოგიურმა სწავლამ გამოიკვლია ნამდვილ ცხოვრებიდგან ის შეურყეველი აზრი, რომ ყმაწვილები უნდა სწავლობდნენ პირველათ საგნებს თავის დედა-ენაზედ, შემდეგ კი შეუდგნენ სწავლას სხვა ენებზედ. აბა გვაჩვენეთ რომელი ქალი ცდილობს ჩვენში ამ აზრის შეთვისებას?! აბა გვიჩვენეთ მ'ავლობითი მაგალითი ქალებში, რომელნიც ცდილობდნენ, ქმრის შერთვამ-

დენ, ანუ შემდეგ, მოამზადონ თავისი თავი იმ დედათ, როგორც დედაც უნდა იყოს თავის შვილებსთვის: მეგობარი და ხელმძღვანელი იმათი. მაგრამ როგორც ჩვენში დედ-მამანი არიან, შვილებიც ისეთნი გამოდიან. ამათხედ მართლდება ჩვენი ქართული ანდაზა: „დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამოიხატე.“ ანუ ეს სიტყვები: „რასაც დასთესამ—იმას მოჰკი.“

ოჯახობაზედ უნდა იყოს დამყარებული კაცის ცხოვრება, ოჯახობაში ახალნი მოზარდნი, ნუგეში და იმედნი ჩვენი ქვეყნისა, უნდა სიყრმითგანვე იზრდებოდნენ მამულის შეილებათ; ჰქონდესთ ის ცოდნა, რომელსაც მოითხოვს კაცობრიობის ცხოვრება და საქროება ჩვენი ქვეყნისა. ძალი, თუ ვაჟი, უნდა იყვნენ შრომაში შევლილნი, დედ-მამის მეგობარი და ჰქონდეთ იმას ის აზრი გამოხატული, რომ არა თუ კაცსა, არამედ პირუტყვსაც კი უყვარს თავისი შვილები. შვილის სიყვარული მაშინ გაგრძელდება, როდესაც დედ-მამანიც მიიღებენ საფუძვლიან რზილობას და სწავლას, როდესაც მათ ეყვარებათ თავისი ოჯახი, უმეტესათ ბეზიკისა, იარაღისა, ლოტო-ნარდისა და სხვა გვარი შექცევისა. ოჯახსა და სასწავლებელს უნდა ჰქონდეს ერთმანეთში მტკაცე კავშირი და იდგნენ ერთ მტკიცე აზრზედ—შვილების აღსაზრდათ. დედ-მამათ უნდა დამოკიდებული აწმყო და მომავალი შვილებისა შვილის გაზდა მთელ კაცის ცხოვრებას შეიცავს. მართალია აღზრდა შვილისა მძიმე ტვირთი და მოვალეობაა, მაგრამ ფრიად სასიამოვნო საგანია. აბა გადახედოთ პირუტყვთ ცხოვრებას, როგორ დედა უფლის და ეალერსება დღითი დღე თავის შვილებს. ნუ თუ ჩვენს დედ-მამაში, უნდა იყოს დახშული ეს ბუნებითი გრძობა?!

ოჯახში ქლი და ვაჟი უნდა დაფასდნენ, გამოიჩინონ თავისი თავი და სხელი. ოჯახი უნდა იყოს ქალისათვის და ვაჟისათვის შეურყეველი წმინდა ტაძარი. იმათ უნდა მისცინ ერთმანეთს მზარე და მით შეუდგნენ თავის ოჯახის და მამულის გაუმჯობესობას. შვილებს უნდა უყვარდეთ თავისი ჯერი და არ უნდა იყვნენ გაქსუბულნი და კარდაკარ მოტანტალენი. ოჯახობა მაშინ მიიზიდამა შვილებს, როდესაც ჩვენი დედ-მამანი იქნებიან კეთილი გრძობით, შრომით, ცოდნით და რზილობით დღე და ღამე შვილების ზრუნვაზედ დამყარებულნი. ღამიჯერეთ, რომ ყველა კაცი ისურვებს დაუახლოვდეს ამისთანა ოჯახს, ის შევა და გამოვა ამ ოჯახში და დის მოწიწებით და წმინდა სინდისით. შევლა ქალი ამ ოჯახში თავს გამოიჩენს, თუ იმას ბუნებითი ქება არა აქვს დაკარგული.

აი დღევანდელი სწეულობა ერთი ნაწილისა ჩვენი საზოგადოებისა. ამის-

თანა მდგომარეობა გულს უკლამს კაცს. ამითი ჩვენ ვათავებთ ჩვენ აღსარებას; შემდეგში ჩვენ ვეცდებით დაგინათოთ ჩვენი ყმაწვილ-კაცობის მდგომარეობა, მოგიხრობთ იმათი ცხოვრებას და ზედ-მოქმედებას ჩვენ ყმაწვილ ქალებზედ, საზოგადოებაზედ და ოჯახობაზედ, აგრეთვე გამოვიკვლიეთ იმ საშუალებათ, რომლითაც განათლებულს ხალხს წინ მიჰყავს თავისი კაცობრიობითი ცხოვრება.

სოფელსა ვეკრწითელისა.  
5 აგვისტოს.

**ახალი ამბები.**

დღეს წაბრძანდა თბილისიდან ბ. სახალხო განათლების მინისტრი, ბარონი ნიკოლაი.

\* \*

მომავალი ენკენისთვის პირველიდამ თბილისში გამართავს რუსულ წარმოდგენებს ხალი დრამატიული ტრუპა ბატ. ს. ა. პალმისა. მითონ პალმი ადესაში იქნება, საცა იმას გაუმართავს ოპერა და აქ, მისგან დაქირავებული ტრუპის საქმეებს განაგებს მისი მამა, ა. პალმი.

\* \*

რაჭიდან სწერენ გაზეთ ვაჟაშვილს: „ღამით 21 ივლისს, ზემო-რაჭაში იყო საშინელი წვიმა, რის გამო დიდი ნიაღვრები გადმოვიდა და, უაშისოთაც რაჭის წამხდარი გზები, სრულებით გადარცხა; სოფ. ლღვანთას ერთ გლგებს დაუქცია სახლი. დიდ-ძალი ვაზები და ყანები იმსხვერპლა ამ ნიაღვარმა. სოფ. ლხეთში, აბარში, სოარში და წესში მიწის თავებმა სრულებით გააფუტქეს პური. სოფ. ხიორში 17 ივლისიდან პირუტყვების ავთმყოფობა და დღემდის ასი მეტი თავი პირუტყვი დავარდა ამისაგან. ხორგბელი თავის უგუნურობით არა თუ ცდილობენ ამ სუნის მოსაპობას, აგრცელებენ კიდევაც: ავთმყოფ პირუტყვებს ტყავს აძრობენ და ახმობენ ქლაბანებისთვის, ხორცს კი ან წყალში ანა და გზის ნაპირად ისვრიან, სადაც სხვა საქანელი დადის.“

„ამბობენ კიდევ, რომ ავთმყოფობა გადავიდა სოფ. ლებში.“

\* \*

ამ თვის 10-ს, ნაშუადღევს 6 1/2 საათზე, ავლაბრის კლიდამ ჩამოწვლილი ქვა რომელმანც ზოგელამის ეზოში მოჰკლა „კარეტნიკა“ მალხაზა ჩუგუნაძე.

**„დროშის“ კორმისკონდენსია**

დ. შვირილა, 27 ივლისს. ბევრჯერ თქმულა ქართულ მწერლობაში სხვადა-სხვა ნაკულევენება ჩვენი სახალხო სკოლებისა. შოველთვის როცა იმერეთის სკოლებზე დაუწყიათ ლაპარაკი, ეს სკოლები უკიცხავთ მართლ-ძახეთის სასოფლო სკოლებთან, შედარებით: მართლ-ძახეთში სწავლა-

განათლება უფრო როცაონალურ გზაზე ადგია, ვიდრე იმერეთში...  
იმ აზრს, რომ მართლ-ძახეთში სწავლა უფრო სწორ გზას ადგია, მეც სრულებით ვეთანხმები, მაგრამ იმერეთის სახალხო სკოლების შესახებ უნდა მოგახსენოთ რომ თუმც არც ბ-ნ მარსოვს მოუმატნია ბევრი, მაგრამ ტროვს შემდეგ ჩვენმა სკოლებმა რაღაც თვალები გამოჰკიცეს, ცოტა არ იყოს გაცოცხლდნენ და თავის დანიშნულება და მიზანი გააგებინეს ხალხს.


საზოგადოებას რომ სკოლა შეუყვარდეს, ეს სრულებით დამოკიდებულია მის მასწავლებელზე. მასწავლებლების ვალია, რომდენათაც შეუძლია, აუხსნას საზოგადოებას და კარგათ გააგებოს მას სკოლის მნიშვნელობა, მისი ლტოლვილება და მიზანი.

მაგრამ ამისთვის საჭიროა, სპეციალურად მომზადებული მასწავლებლები და არა ისინი, როგორცაც ვხედავთ უმეტეს ნაწილათ ჩვენს სახალხო სკოლებში. მე ამათხე ცალკე არას ვიტყვი, რადგანაც ბევრჯერ ყოფილა მათზე ბაასი ჩვენ ქართულ ჟურნალ-გაზეთებში, გარდა იმისა, რომ პედალოგიური განათლება მათთვის ერთ უსაჭიროეს საგანს შეადგენს. „მინ არ იცის“, ამბობს პედალოგი ამოს ძომენსკი,—რომ მებაღეს, რომელსაც სურს მისმა დანერგულმა მცენარემ კარგა გაიხაროს და მშვენიერი ნაყოფი მოუტანოს უნდა ექნეს ერთგვარი გამოცდილება და იცოდეს მისი ხელობა?

ის მებაღე, რომელიც მოკლებულია ამებს, თუმც კიდევაც დანერგავს მცენარეს, მაგრამ მისი დარგული, ან არ ივარგებს და ანთუ ივარგა ისიც რაღაც სუსტი და მკრთალი იქნება. ზამოცდილი მებაღე ბეჯითად ასრულებს თავის სამუშევარს; იმან კარგათ იცის თუ სად როგორ, ან როდის რა უნდა გააკეთოს, რომ არასოდეს სირცხვილი არ დაეშართას და მისი დანერგული მცენარე არ გაუტრუფდეს.“

მთუც შეიძლება ხშირათ საქმის მცოდნენიც ბევრ შეცდომავებს შერებთან თავიანთ ცხოვრებაში, მაგრამ, ნათქვამია, კაცს ძლიერ ძნელათ შეუძლია შეასრულოს ყველაფერი შეუცდომელათაო.

მამასადამე თუ იმ უბრალო მუშის მებაღისათვის არის საჭირო თავის ხელობის ცოდნა და გამოცდილობა, მით უმეტეს საჭიროა თუ არა ჩვენი მასწავლებლებისთვის თავიანთ; ხელობის შესწავლა, რომლების კისერზედაც არის ჩამოკიდებული მთელი ბედი და უბედობა ახალგაზდა გლეხებისა. ამას ვამბობ მიტომ რომ პირველ დაწყებითი სწავლას ზავშვების აღზრდაში უჭირავს პირველი ადგილი, ამისათვის რომ ის არის საფუძველი ზავშვის მომავალი



გონებითი განხილვისა და განვითარებისა ის არის საფუძველი, რომელიც შემდეგ აწინდებს ყმა-წილის ცოდნა და გამოცდილობა, ამისთვის საჭიროა ეს საფუძველი, რაც შეიძლება, შავრათ და საიმედოთ გაიფასვროს, რადგანაც ეს საფუძველი ანუ პირველ დაწყებითი სწავლა არის ის დედა ბოძი ცხოვრებისა, რომელზედაც არის დამყარებული მისი მომავალი გონებითი და ზნეობითი განვითარება.

1876 წ. გაიხსნა ქ. ზორში სამასწავლებლო სემინარია და ამ ხუთი წლის განმავლობაში თითქმის 40 ყმაწვილმა კაცმა მიიღო პედაგოგიური განათლება და მომზადება თავის მძიმე თანამდებობისა და ჩვენს იმერეთში სამი ან ოთხი მეტს სულს, რომ სანთლით ეძიოთ მინც ვერ იპოვით; თუმცა კი მათ შორის იმერლებმაც ბევრმა გაათავეს. რა მიზეზია ამ ნაირი გულ-გრეობა ჩვენი ახალგაზდა სემინარიელებისა მუთისის დირექციის სკოლებზე? ამის მიზეზი თუმცა ძლიერ ბევრია მაგრამ უმეტეს ნაწილათ არის მატერიალური მხარე ჩვენებური სკოლებისა და მასწავლებლებისა ჯერ საზოგადოთ და მერმეთ კერძოთ მუთისის დირექციის სკოლებში. საწყალი მასწავლებელი თავის დაუცხრომელი ჯაფით და შრომით ჰკარგავს თავის ძალა-ღონეს და სწირავს თავის სიცოცხლეს ახალგაზდაობის მომავლის სიკეთეს. ძნელი წარმოსადგენია მასწავლებლის ის შრომა და თავის ტეხა, რომელიც მას მოჰდის ახალგაზდაობის გამართვაში... სოფლის მასწავლებელ 200 თუ 300 მანეთს იღებს წელიწადში. ამისთანა ჯამაგირით რა უნდა ქნას საწყალმა მასწავლებელმა, რომელსაც თავისი სიცოცხლე და ტანმრთელობა ბავშვების მომავალ კეთილ დღეობისათვის შეუწირავს. რა უნდა ქნას საწყალმა სიბერის დროს გარდა მთხოვრობისა და ყელამდის სიღარიბის ორმოში ჩაყარვისა. და ისიც ამ პატარა ჯამაგირს მიღებაში რამდენი ხვეწნა და ლიტინი შემოეხარჯება მასწავლებელს მამასახლისთან, რომ მისი შრომის ქირა თვალით დაანახონ. რამდენ ჯერ „რაპორტით და პროშენით“ უნდა მიიქცეს თუ ბ. ადგილობრივი მაზრის უფროსებთან, რომ მისი ჯამაგირის თვალთ დაანახვის ღირსი გახადონ, მაგრამ სანამ ის მიწერ-მოწერას მოახდენდეს, მანამ საწყალ მასწავლებელს კი თავისი დამართება.

იმედია, რომ ბ. სახალხო სკოლების დირექტორი ბ. ლ. პროლოვი მიაქცევს ყურადღებას ამ ნაირ ჩვენ სკოლების ნაკლებობას და როგორც მთლიანად დარეკციაში ღებულობენ სახალხო მასწავლებლები ჯამაგირს აქაც ისე შემოიღებს.

თ. კვადიფელი.

წერილი რედაქტორთან.

ბ. რედაქტორო! შმორჩილესად გთხოვთ ამ მცირე შენიშვნას მისცეთ ადგილი თქვენს პატივცემულ გაზეთში.

მ. ტფილისის მეორე უჩასტის მორიგებელ სასამართლოს აქვს კერძო განყოფილება, რომლის მმართველად არის ბ. ბოსტრომსკი, რომელიც ამ დროებით ოტუესკშიდ არის წასული. ბოსტრომსკის თანამდებობის აღმასრულებელად არის დანიშნული ბატ. ხოსროვეი.

ბ. ხოსროვეი დილის შვიდ საათზედ მობრძანდება კანცელარიაში, კანცერტებს და სხვა კერძო ბარათებს მიიღებს, ხუთ ან ათ მინუტს დარჩება და მსწრაფლად მიდის შინსაკენ.

ადვილათ წარმოიდგენთ რა დიდი დაბრკოლება უნდა ჰქონდეს მთხოვნილებს.

მრჯელ თუ სამჯერ ენახე ერთი შავ-კაბა, თვალ-ცრემლიანი მოხუცი ქალი, რომელიც ბუტბუტებდა თავისთვის: „რაგქნა და რა წყალს მივსცე თავი... მზღების საქმე მაქვს, სუდის ნახვა მინდა, თუთხმეტი დღე იქნება რაც უოველ დღე დავდივარ და ვერ მინახავს. ნეტაი მინც სახლი ვიცოდე, წავალ და მოვეხვევი მუხლზედ, იქნება მისის ლეთის გულისათვის შამიზრალოს“. სხვა მთხოვნილებზედ არას ვიტყვი, რადგან ყველანი დამომწმებიან, ვისაც საქმე ჰქონია ამ დროებით ამ სასამართლოში.

რუსეთი

სახელმწიფო კონტროლში, ამ ქვა-მათ, არჩევენ სხვა-და-სხვა სამინისტროების და უწყებების შემოსავლებსაველის სიას. ახალი განკარგულების ძალით კონტროლს ნება აქვს ამ სიებში ცვლილება მოახდინოს აღრინდელი განკარგულების და ცირკულიარების მიუხედავით.

ჩვენს მმართველობას ამ ქვათ მიწერ-მოწერა აქვს რომის პაპსთან შესახებ კათოლიკებისა, რომლებიც რუსეთის ტერიტორიაში სცხოვრებენ. მომავალ ოკტომბერში ეს მიწერ-მოწერა გათავდებოა. საქმე შეეხება კათოლიკური სასულიერო აკადემიის გამართვას რუსეთში და ზოგიერთა ეპისკოპოსების დანიშნვას.

მახეთს შორისდავს გაუგონია, რომ რკინის გზის ბილეთების გაყიდვაზე სახელმწიფო გადასახადის გადახდეინება მომავალი წლის დამდგინდამ მოისპობოა.

შეტყობუდის უწყება სწერს, რომ სასახლის სამინისტრო მალე გაუქმდება.

შორისდავს სწერს: ღენერალ-მაიორის ჩერეივის თანამდებობარებით გამართულ კამსიამ გუბერნიის უეზდის ადმინისტრაციის წარმართვაზე გაათავა მუშაობა. ახალი პროექტი მალე იქნება განხილული ყმაღლეს სახელმწიფო დაწესებაში.

უცხოეთი

პარიში, შარონის უბანში შეიყარა 10 ათასი მეტი კაცი ბამბეტის პროგრამის მოსასმენათ. სხდომის განხილვას, 8 1/2 საათზედ, მოისმა საშინელი ყვირილი, რის გამო ბურთო ევლარ შედგინეს. ბამბეტამ მოინდომა ლაპარაკი, მაგრამ მისი ხმა არ ისმოდა. მაშინ გაჯავრებულმა ბამბეტამ დაარტყა ჯოხი სტოლზედ და მიჰართა ყრილობას შემდგის სიტყვებით, რომლებიც მხოლოდ ახლოს მდგომთ შეეძლო გაეგონათ: „თქვენ 10 ათასი ხართ— და უღონობაში ჩაყარდით ხართ, ვილაც ერთი მუჭა პირობებისაგან, რომელთაც კარგათ ვიცნობ, ვინც ბრძანდებიან; ვილაც საძაგლები, რომელნიც მოსყიდულნი არიან, შემოგვრევი ჩვენ და გვიშლიან ლაპარაკს, რადგანაც მათ პასუხის მოცემა არ შეუძლიათ. 21 აგვისტოს ენახეთ ერთმანეთს.“ მკვი მინუტის დიდი აყალ-მაყალის შემდეგ, ბამბეტა უნდა წასულიყო და სხდომა დაიხურა 9 საათზედ.

თფილისის სამკურნალო

ავათმყოფეობა მიიღეს ან დიდის ცხრა სსათიდაძე ვიდაქ ნაშუადღევს ჰირველ სსათიდაძის.

მ. შაბათს. გავანსავი — ექიმი ბუბიაობისა და ქაღების ავათმყოფეობისა; გოჭაღებისა და ღისიცოვი — შიგანჯან ავათმყოფეობისა; რატინისცი — ქაღებისა და ყმაწვილების ავათმყოფეობისა, ბაბაკვი სისუსტისა და შინჯან ავათმყოფეობისა; შტემბორსკვი გენეროულ და ტუვის ავათმყოფეობისა.

სამშაბათს. მინკვიისი — სირუგიული ავათმყოფეობისა; რეისი — თვაღების ავათმყოფეობისა; ბასუტოვი — ბუბიაობისა, ქაღებისა და ყმაწვილების ავათმყოფეობისა; შეტროვსკვი — გენეროულ ავათმყოფეობისა.

მ. შაბათს. ვანსოგორისდავოვი და ღისიცოვი შინჯან ავათმყოფეობისა; ქიუნარსცი და შტემბორსკვი — რეფილიტიკური და ტუვის ავათმყოფეობისა.

სხუთ შაბათს გავანსავი — ბუბიაობისა და ქაღების ავათმყოფეობისა; რატინისცი — ქაღებისა და ყმაწვილების ავათმყოფეობისა; ბაბაკვი მარღების სისუსტისა და ელექტრო-ტრანზისისა ღისიცოვი და შეტროვსკვი შინჯან ავათმყოფეობისა; ქიუნარსცი 1-და სიფილისტიკური ავათმყოფეობისა.

შაბათსკვი. მინკვიისი — სირუგიული ავათმყოფეობისა; შტემბორსკვი — გენეროული ავათმყოფეობისა; ვანსოგორისდავოვი, ღისიცოვი და ვეშიშოვი — შინჯან ავათმყოფეობისა; შტემბორსკვი — გენეროული და ტუვის ავათმყოფეობისა.

შაბათს. ღისიცოვი — შინჯან ავათმყოფეობისა. რეისი — თვაღების ავათმყოფეობისა; ბაბაკვი — მარღების სისუსტისა და შინჯან ავათმყოფეობისა; ქიუნარსცი 2-რე — ქაღებისა და შინჯან ავათმყოფეობისა.

მ. შაბათს — ვილის ავათმყოფეობისა, მიიღეს თავის სსახში მუდამ დროს ღარბების საავათმყოფეობას ბაბაკვით.

განსახლება

შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელი მბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების განმგებელი კამიტეტი ამით აცხადებს, რომ ამ 1881 წ. მომავლის ენკენისთვიდამ მბილისის სათავად-აზნაურო სკოლაში, რომელიც ძუკილამ გადატანილ იქნება სოლოლაკზედ, გაიხსნება ოცდაათამდისინ ადგილი თვის ხარჯით სკოლაში მცხოვრებთ ბავშვებისათვის, ე. ი. ოც თუმბინი პანსიონერებისთვის.

მსურველთ შეუძლიანთ გამოგზავნონ თხოვნები ენკენისთვის პირველამდის სკოლის ეხლანდელს სადგომში (въ Куки, на второй Кирпичной улицѣ домъ кн. Тактакова), ხოლო ენკენისთვიდამ — სოლოლაკზედ, სათავად-აზნაურო ბანკის გადასწვირე, მთისკენ. სადგვის ქუჩაზედ, ბისოლოლოვის № 19-იან სახლში, სადაც ამ დროს იქმნება სკოლა და მისი გამგეობა.

ინგლისის მაღაზიაში ახლად მიღებული დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრფისა 30% უყეთესი, ვიდრე სხვაგან. იქვე იქიღება: შარუსინა 40 კაბ. დაწყებული; სტაქნები, ბაკლები 10 კაბ — დამ; პადნოსები 5 კ. — დამ, მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (100—3)

მიწა იყიდება იმ ალაფას, სადაც აბრბინ ხიდის აშენებას, 18 მ., 20 მ., 22 მ., და 24 მ. კვ. სავ. მსურველმა ჩკთხოს ინგლისის მაღაზიაში. იქვე იყიდება ბალი 1,300 კვ. სავ., მიხალოვის ქუჩაზე 17 მან. კვ. სავ. (10—7)

პემბრპრლის ბირჟა, 10 აგვისტოს. ბანკის ბილეთები: ჰან. კან. პირველი გამოცემისა — 96—25 მეორესი — — — 94—50 მესამესი — — — 94—75 1/2 მეოთხედი — — — 94—25 აღმოსავლეთის პირე. — 91—25 1/2 აღმოსავლეთის მეორე 91—25 აღმოსავლეთის მესამე 91—37 მკრო. 1/2 იმპერიალი 7—76 1/2

**შინაგანის 5% სესხი ბილეთები:**

მან. კაპ. — — — 231—75  
 პირველი სესხის — — — 228—50  
 მეორე სესხის — — — — —  
 1 მანეთი ღირს:



ლონდონი — — 25—81 პენსი  
 ბერლინი — — 224—25 ჰფენიგი  
 მამბურლი — — 205—50 ცენტი  
 პარიზი — — — 271—50 სანტიმი  
 ავკასიის კერასინი — — —

**თბილის მაღაზის გაზომვა** ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ 1 სექტემბრიდან ქალაქში იხსნება შვიდი ზირგელ დაწვებითი სასწავლებლები, სადაც სწავლა იქნება, დედა-ენაზედ: რუსულზედ ქართულზედ და სომხურზედ. მისაც ამ სასწავლებლებში ყმა-წვილების დანიშნვა ჰქუთ, მოიწოდებიან შემოიტანონ დოკუმენტი (დაბადების და ყვავილის აცრის მოწმობა) ქალაქის გამგეობაში ყოველ-დღე დილის 9 საათიდან შუადღემდის. თხოვნის ქაღალდები საჭირო არ არის, ამისათვის არის დამზადებული უპროვანო ბლანკები. (4—1)

**თბილისის მაღაზის გაზომვა** ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ დღეიდან 20 აგვისტომდის მიღება მსურველთაგან თხოვნა ქალაქის სასტატო სასწავლებლებში ყმაწვილების მისადებად. ამ გვარა თხოვნას იღებს თვით დირექტორი ამ სასწავლებლის თავის სადგომში ვეზარის მოედანზე, № 8. შიწვილები მიიღება არ ნაკლებ 13½ წლის ვეზამენები დაწყება 22 აგვისტოდამ ქალაქით თხოვნა საჭირო არ არის, რადგანაც დირექტორს აქვს დამზადებული თხოვნის ბლანკები. (4—1)

ინგლისური ინგბერ შამპანის ღვინო! შასი უქუტულოთ 25 კაპ. (ქუტუტელით 40 კაპ.), დიდი ბოთლია, ინგლისის მაღაზიაში. (10—3)

მოელს ქეკეა-შეი გამოხეილი და ყველსაგან სმარე-

ბული შამალი ნაოფლარისა, რომელიც (ნაოფლარნი) სიცხისაგან განხდებთა სოფელე, განსაყოფობით სშიროთა ფენის თითებს შუა,

**გალმანიანი**  
(Гальманиннъ)

ისყიდება აფთიაქებში და აფთიაკის წამლებს მალაზიაში კვრობის ყველადიდ ქალაქებში. მთავარი დეპო ამ წამლისა არის ქარმაკის მაგისტრის გ. კარზინსკის აფთიაკის ქ. ვარშავში, ელექტოროვსკის ქუჩაზე № 35. დიდი კარობუკა ვალმანიანს ვარშავში 50 გ. ღირს, შატარა — 30 კაპ. უნდა გაყოფთსი-დეთ, რომ ყალბი ვალმანიანი არ შემოგატუთონ და ითხოვთ რომ კარობუკასთან იყოს: ახსნა როგორ უნდა იხმართ წამალი და მედლი ვარშავის მსოფლიო გამოფენისა. (20—18) გ. კარზინსკი.

**ვეჩილი სასამართლო სამეხეზო**  
**პ. გ. გელედიანი**  
ბადავიდა არლოვსკის ქალის სხლელებში, ინტენდანსტვოს გვერდით. (5—2)

**ნაზიცი ვეჩილი**  
სერგეი ვასილიევიჩი  
**ჩავესოვი**  
ბადავიდა არსენალის ქუჩაზე, „კრუკოკის“ უკან, ბარბუნოვის სახლებში. (5—4)

**ინგლისის მაღაზიაში**  
არწურის გაღვერეაში  
(Maison de confiance)  
შეადრეთ ჩვენი ჩხი ჩხის ყველგან — — 1 მ. 10 კაპ. — 1 მ. 40 კაპ.  
— — 1 „ 20 „ — 1 „ 60 კაპ.  
— — 1 „ 40 „ — 1 „ 90 კაპ.  
— — 1 „ 60 „ — 2 „ 20 კაპ.  
— — 1 „ 80 „ — 2 „ 50 კაპ.  
სუყოფისა 2 მანეთ. — 3 მანეთ.  
ჩხის წონა — უქალადა, სხვან გიქალადათ. (100—25)

ჩხის მცოდნე პირმა და მსურველმა უნდა იეიდოს ჩხი, პირველი მოკრეფილისა ინგლისის მაღაზიაში 1 მან. 20 კაპ. და 2 მან. და შეადაროს ჩხის 1 60 კაპ. და 3 მან. ყველგან, ქ. თბილისში და გაიგებთ რამდენათ უკეთესი ჩხია ინგლისის მალაზიაში. ამის გარდა მალაზია ამღვეს ჩხის წმინდა წონით უქალადათ და უტუვიოთ. (100—21)

**ახლად მიღებული**  
ინგლისის მაღაზიაშია დიდ ძალი ჩხი პირველი მოკრეფისა. 30% უფრო უკეთესი ვიდრე საღმე სხვაგან. იქვე ისყიდება: პარუსინა არშ. 40 კა. სტაქნები და ბალები 10 კაპ., პანდოცები 5 კაპ. მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (25—10)

**ბრიტუროვის წიგნის მაღაზიაში** (ბალის პირ-და-პირ) და ბ-ნი იოანნი-სიანთან (ოკრუქნის სუდის ქვემოთ) ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემა:


წითელი ფარანი, ფასი 15 კ.  
სატკურა — — — 10 კ.

**ლონდონის მაღაზია** გამოკრეფილი ხანკის ქვეშ დაანსებულია ნამდვილი ჩხი-გასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მადალითებ: თოფებისა, რევოლვერებისა, გლიტუებისა, ჭურჭლებისა, გრაფიკებისა, დახებისა, ჯოჯუებისა, ჩხინიკებისა, მოკოლადისა, კაგოსისა, დუხებისა, სხინი-სა, შხა კებისა, ცხვირ-სახტვისა, ქადადისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნ-

გრებისა, სუკისისა (გემრიელი გლეშინ-ვინი ზეთისა) და სხვ. სააგენტო მაკინტოშის მოსახურებას გასასყიდლად კანტუტების და ბატკონის და კაპ. მურაბისა, აგრეთვე ჩუქებისა და წინდებისა ნოტინგემიდან. ნამდვილი ჭკავასა გაიარები. (100—7)

**ინგლისის მაღაზიაში**

**თიხანი-არსენალი**



ამაგრებს თმას და ადრინდეუ ფენს ამღვეს, ფასი ერთი შუქისა 2 მან., გაკაზანით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის შამადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სხატკები თავის ტკავილის მოსახურებლად, ტუტელის სხინი, დუხები და სხვ. (100—13)

**ახლად მიღებული**  
დიდ ძალი რიკხვი თოფებისა, რევოლვერებისა, სასროლებისა, პირველი მოკრეფის ჩხისა, ბალებებისა და სხვ. თოფები ჩოკ ბორ (choke bore) George Daw-ს ფაბრიკიდან 120 მან. ბულ-დოვის რევოლვერები 11 მან. 700 კრავატები 5 მანეთიდან 40 მა-მდის. აქვე ისყიდება პარუსინა ნახევარ ფასად და სხვ. ინგლისის მაღაზიაში. (12—8)

**მინდამატი იმისა**, რომ ბაყე მია-მატა, საქონელი გაყიდება ისევ იმ ფასად, როგორც წინეთ იყო: კონკო-ჩხი 1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; საუკეთესო მინიგი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ.; მშენიერი კანსაუ 1 მ. 60 კ. და 1 მ. 80 კ. მრეელ კარგი ჩხი 2 მ. გირვანქა უქალადათ.

ინგლისური რევოლვერი 4 მ.—40 მანეთამდის და თოფები 20—200 მანეთამდის. ინგლისის მაღაზიაში. სააგენტო ხანსის უნაგრების გასასყიდლათ, ჯონსის გლიტუებისა, შოკოლადისა და ექსტრატისა კაკაო ფრასის რომელთაც დაიმახურეს ვარშავის მსოფლიო გამოფენაზედ რქროს მენდადი. გირვანქა ანომალური ჩხისა ლამაზი ჩხინიკით 1 მ. 65 კ. და სულ საუკეთესო 2 მ. 30 კ. ვაჭრები მოიგებენ, თუ იყიდათ ბლომათ ინგლისის მაღაზიაში. მთელი კოსტუმი 15 მ. სველების კონტრტები 60 კ. ერთი გირვანქა. (100—89)

**ტფილისის ჩარკიანის წიგნის მაღაზიაში** და მუთისის გერარდის წიგნის მაღაზიაში ისყიდება  
**სამწერლო**  
**თაიგული**  
შედგენილი და გამოცემული ილია ჭეჩელაძისაგან. შინაარსი: I ბაბუას თხოვნა (ლექსი) მ. შაზელისა, II უბე-

**დური შემოსევა** (ამბავი) ზ-სა, III ჩემს სურათებზედ (ქრუცი ლექსი) მ. შაზელისა, IV მის სარკე (ლექსი) მ-სა, V ფერი ფერს — მადლი ღმერთის სამ-მოქმედებიანი კომედია. ცვლილ. თარგმ. ალექსი შიჭინაძისაგან, VI ჩივილი სვედრისადმი (ლექსი) რაფიელ ქრისტისა, VII ხსათის გაღვენა სამეულ სმაილსსა, VIII უკითხავი ვასუსი (ლექსი) ნ. დ-სა, IX ხალხი მოვლენის ჩვენს ლიტერატურაში და X მტარვალეს (ლექსი) აკაკისა. შასი თითო წიგნისა ათი შაური.

გამოვიდა და ისყიდება ტენტალ-წიგნის მაღაზიაში ბუფარსე და გრეკურის მაღაზიაში გუკის სიდის უფრსე, ბადის შინდაშირ.

**ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსები**  
ნაწილი პირველი. შასი ემპსი შაური. იქვე ისყიდება: ლექსი ნიკ. ბარათაშვილისა. შასი ერთი აბაზი. ანტონოვის თხზულებანი. შასი ერთი მანეთი. ქართული ანდაზები. შასი ორი შაური. მეფე ლილი, ტრაველია შექსპირისა, თარგმნილი ივანე მაჩაბლისა და ილია შავჭავაძისა. შასი სამი აბაზი. ბრიგოლ მორგელიანის ლექსები. შასი ექვსი შაური. დავითიანი (ბურამიანი), თქმული დავით ბურამისშვილისა. შასი ერთი მანეთი. ძაცია-ადამიანი, მოთხრობა ილია შავჭავაძისა. შასი ორი აბაზი.

- ბაშცია**  
საკვებაგ ხორაგველებათ, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, დუქნებში და დაცარებით 15 დღის განმავლობაში, 1 აგვისტოდამ 15 აგვისტომდის.
- მამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის: პირველი ხარისხის — 1 გირ. 5 1/2 მეორის „ — 1 გირ. 4 კ. იმავე ფქვილ. თორნეში მამომცხვარი: პირველი ხარისხის — 1 გირ. 6 კ. მეორის „ — 1 გირ. 4 1/2 ჯვარის-მამის პური: პირველ ხარის. ლავაში 1 გირ. 7 კ. მეორის „ „ — 1 გირ 5 1/2 მესამის „ „ — 1 გირ. 5 კ. ძროხის ხორცი: პირველი ხარისხის — 1 გირ. 9 კ. მეორის „ — 1 გირ. 7 კ. სუკი — — — 1 გირ. 15 კ. სვების ხორცი 1 გირ. 9 კ. ღორის ხორცი: პირველი ხარისხის — 1 გირ. 14 კ. მეორის „ — 1 გირ. 12 კ. შს ტაქცია არ შეეხება სოფლის მწარმოებლებს, რომელთაც თფილისის ბაზრებში და მედნებზე მოაქვთ ხორავი გასასყიდლად.